



გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

პირველი საფეხურის საგანმანათლებლო
პროგრამების კატალოგი

2022

საბიუჯეტი

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ.....	3
ბიზნესის ადმინისტრირება(მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები).....	7
ტურიზმი.....	14
ჟურნალისტიკა.....	19
ფსიქოლოგია.....	2
3	
ბიზნესის ადმინისტრირება(ინგლისურენოვანი).....	30
ტურიზმი (ინგლისურენოვანი)	35
სამართალი	40



გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო სასწავლო უნივერსიტეტი ერთ-ერთი ახალგაზრდა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც ატარებს (დაფუძნდა 29.05.2008, N20455524), მისი დამაარსებლის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ გურამ თავართქილაძის სახელს.

დაარსებიდან დღემდე შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა ღირებულებებისა და ტრადიციების სისტემა, რომელთაც იზიარებენ და პატივს სცემენ თანამშრომელები და სტუდენტები.

სასწავლო უნივერსიტეტმა თავისი საქმიანობა დაიწყო 6 პროგრამით და 390 სტუდენტით, ამოქმედებიდან მეოთხე 2013 წელს კი წარმატებით გაიარა ინსტიტუციური ავტორიზაცია და პროგრამული აკრედიტაცია, რაც შემდგომი განვითარების სტიმულად იქცა. დღეს გთუნი ახორციელებს 12 პროგრამას, შესაბამისად გაიზარდა სტუდენტების რაოდენობაც.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო სასწავლო უნივერსიტეტი ერთ-ერთი ახალგაზრდა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც ატარებს (დაფუძნდა 29.05.2008, N20455524), მისი დამაარსებლის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ გურამ თავართქილაძის სახელს.

დაარსებიდან დღემდე შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა ღირებულებებისა და ტრადიციების სისტემა, რომელთაც იზიარებენ და პატივს სცემენ თანამშრომელები და სტუდენტები.

საერთაშორისო ურთიერთობები

საქართველოსა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში სტაბილური ნიშის დამსახურებულად მოპოვების გარდა, გთუნის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება, რისკენაც მეთოდურად და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ.

ახალგაზრდა უნივერსიტეტი გახდა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტების- Tempus, Erasmus+ ბენეფიციარი და Visegrad Foundation აპლიკანტი.

დაამყარა პარტნიორული ურთიერთობები პადერბორნის უნივერსიტეტთან (გერმანია); ინჰოლანდის უნივერსიტეტთან (ნიდერლანდები); ვარნას თავისუფალ უნივერსიტეტთან (ბულგარეთი); ბრემენჰაფენის უნივერსიტეტთან (გერმანია); ბადენ-ვიურთენბერგის დუალური სწავლების უნივერსიტეტთან (გერმანია); კონსტანტას ოვიდიუსის სახელობის უნივერსიტეტთან (რუმინეთი); ბანსკა-ბისტრიცას მატეი ბელის უნივერსიტეტთან (სლოვაკეთი); ვენტსპილსის უნივერსიტეტთან (ლატვია); ბირმინგემის კოლეჯთან (დიდი ბრიტანეთი), ინგოლშტატის უნივერსიტეტი (გერმანია), პეჩის უნივერსიტეტი (უნგრეთი), ალსტერის უნივერსიტეტთან (ირლანდია), წმიდა გიორგის სახელობის უნივერსიტეტთან (აშშ), EURAC, ევროპული

კვლევის აკადემიასთან (ბოლცანო, იტალია), ლუბლიანას უნივერსიტეტთან (სლოვენია), რიგის ტექნიკურ უნივერსიტეტთან (ლატვია).

სასწავლო უნივერსიტეტი აქტიურად ახორციელებს სტუდენტებისა და პროფესორების გაცვლით პროექტებს პარტნიორ უნივერსიტეტებში.

ინტერნაციონალიზაცია

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა სასწავლო უნივერსიტეტის საერთო სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია და გთუნის ხედვიდან და მისიიდან გამომდინარეობს. გთუნის შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის მიზნები: ორგანიზაციული მართვის ინტერნაციონალიზაცია, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის განვითარება, სტუდენტთა ინტერკულტურული გამოცდილების გამდიდრება და მხარდაჭერა, გლობალიზებულ გარემოში აქტიურობისთვის.

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ახალი დამფუძნებელია ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფი. რომელსაც საგანმანათლებლო დაწესებულებები ჩამოყალიბებული აქვს ჩინეთში, გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-ში, იაპონიაში, სინგაპურში, მალაიზიაში, საქართველოში და სხვ. იგი ცდილობს ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს ყოველივე, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი წინაპირობაა გთუნის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის წარმატებით განვითარებისათვის, როგორც ევროპის, ასევე აზიის სმიმართულებით.

სწავლება და პროგრამები

გთუნის თანამედროვე ფიზიკურ და პროფესიონალურ გარემოში შექმნილია სასწავლო და კვლევითი საქმიანობის წარმატებით განხორციელების ყველა პირობა: უზრუნველყოფილია კვალიფიციური კადრებით, ყველასთვის ხელმისაწვდომი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მდიდარი თანამედროვე ბიბლიოთეკით, მედია პროექტორებით აღჭურვილი აუდიტორიებით, რადიო და ტელე ლაბორატორიებით, სასამართლო კლინიკით, იურიდიული კლინიკით, კრიმინალისტიკის ლაბორატორიით, სასწავლო ინკუბატორით (GT ბანკი; GT ტურისტული სააგენტო; GT კონსალტინგი); პროფესიული განვითარების ცენტრით; მცირე და დიდი სააქტო დარბაზებით, სპორტული მოედნით, რეკრეაციული სივრცეებით, სტუდენტთა გუნდური მუშაობისათვის გამოყოფილი სივრცეებით, კეთილმოწყობილი ეზოთი და სხვა.

უნივერსიტეტში მოქმედებს ორი ფაკულტეტი:

1. ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი;
2. სამართლის ფაკულტეტი.

ფაკულტეტები უზრუნველყოფენ სტუდენტთათვის მეცნიერების თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნის მიწოდებას თეორიისა და პრაქტიკის ჰარმონიული შერწყმით.

გთუნის, როგორც სასწავლო უნივერსიტეტში, ხორციელდება პირველი და მეორე საფეხურის 12 პროგრამა (11 აკრედიტებული და 1 ავტორიზებულ რეჟიმში) საგანმანათლებლო პროგრამა, კერძოდ:

საბაკალავრო პროგრამები

1. ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები)
2. ტურიზმი
3. სამართალი
4. ჟურნალისტიკა
5. ფსიქოლოგია
6. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)
- 7.. ტურიზმი (ინგლისურენოვანი)

სამაგისტრო პროგრამები

1. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი (ავტორიზებულ რეჟიმში)
2. საბანკო საქმე
3. კერძო სამართალი
4. სისხლის სამართალი
5. მასობრივი კომუნიკაცია



ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (ქართულენოვანი)



პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება Business Administration
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში – Bachelor of business Administration in Marketing; ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში - Bachelor of Business Administration in Management; ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში - Bachelor of Business Administration in Finance
პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით	240 ECTS
სწავლების ენა	ქართული
სწავლების ხანგრძლივობა	8 სემესტრი
სწავლების გადასახადი	2250 ლარი
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, სამღერეთის ქ.#5
პროგრამის ხელმძღვანელი	ზურაბ მუშკუდიანი ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი, ზურა გამთენაძე ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<p>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების (ქართული ენა და ლიტერატურა; უცხოური ენა (ინგლისური); არჩევითი-სავალდებულო საგნებიდან ერთერთი (ან გეოგრაფია, ან ისტორია ან მათემატიკა) შედეგების საფუძველზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52).</p> <p>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია შიდა მობილობის ან მობილობის წესით, კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ (შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრში), მოქმედი კანონმდებლობის და სასწავლო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების დაცვის შესასაბამისად.</p>
პროგრამის მიზანი	<ol style="list-style-type: none"> 1. გააცნოს ბიზნესის ადმინისტრირების თეორიულ-მეთოდოლოგიური და მეცნიერული საფუძვლები, მისცეს ფართო ცოდნა მარკეტინგის, მენეჯმენტისა და ფინანსების მიმართულებით, ინოვაციური მიდგომების, მეწარმული აზროვნებისა და მენეჯერული უნარების ჩამოყალიბებისათვის; 2. შესძინოს და ჩამოყალიბოს სტუდენტს ანალიზის, კონკურენტული სტრატეგიების კონსტრუირების უნარები,

	<p>ბიზნეს პროექტებისა და მცირემასშტაბიანი კვლევების განხორციელების პრაქტიკული უნარები ბიზნესის ადმინისტრირების სფეროებში (მარკეტინგი, მენეჯმენტი და ფინანსები)</p> <p>3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებით გამოუმუშაოს მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ფინანსების სფეროში ბიზნეს მონაცემთა მოძიების, იდენტიფიცირების, დამუშავების და მათ საფუძველზე პრობლემის განსაზღვრის, გაანალიზების და მათი გადაჭრის გზების დასხვის უნარი.</p> <p>4. განუვითაროს ბიზნესის სფეროს პროფესიულ წრეებში ეფექტური კომუნიკაციის, უნარი, როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე.</p> <p>5. ჩამოუყალიბოს სიახლეების მიდევნების და საკუთარი სწავლების მუდმივი სრულყოფის, გუნდში პროფესიული სუბორდინაციის/ადაპტაციის, ბიზნესის მორალური, ეთიკური ნორმებისა, ეროვნული ღირებულებების და კორპორატიული კულტურის დაცვის უნარი.</p>
პროგრამის მოკლე აღწერა	<p>საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ECTS -ის 240 კრედიტის დაგროვებას. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას. კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის ერთი კომპონენტის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.</p> <p>ერთი სასწავლო წელი შედგება ორი, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან, მოიცავს 38 სასწავლო და სასესიო კვირას, 4 კვირას დამატებითი გამოსვლებისათვის (2 კვირა თითოეულ სემესტრში) და 60 კრედიტს.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა ოთხწლიანია; სემესტრის განმავლობაში ბაკალავრმა სასურველია დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი, ხოლო წელიწადში - საშუალოდ 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.</p> <p>საბაკალავრო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არაუმეტეს 6 სემესტრი) განმავლობაში.</p> <p>პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის ხარისხს განსაზღვრავს სრული საგანმანათლებლო პროგრამის GPA. კერძოდ, თუ GPA ტოლია ან მეტი 3.55 გაიცემა წარჩინების, წინააღმდეგ შემთხვევაში</p>

	ჩვეულებრივი დიპლომი.
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები	170 ECTS
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები	14 ECTS
თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები	40 ECTS
თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები	16 ECTS
სწავლება/სწავლის მეთოდები და ფორმები	<ul style="list-style-type: none"> ➤ ლექცია ➤ პრაქტიკული მუშაობა ➤ დამოუკიდებელი მუშაობა ➤ ახსნა-განმარტებითი მეთოდი ➤ ანალიზის მეთოდი ➤ სინთეზის მეთოდი ➤ ინდუქციის მეთოდი ➤ დედუქციის მეთოდი ➤ დისკუსი/დებატი ➤ ჯგუფური მუშაობა ➤ შემთხვევის ანალიზი ➤ ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება ➤ დემონსტრირების მეთოდი ➤ როლური და სიტუაციური თამაშები ➤ თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება ➤ გონებრივი იერიში (Brain storming) ➤ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (Problem Based Learning) ➤ პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project-Based Learning) ➤ გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება <p>სოკრატესული მეთოდი (დისკუსია/დებატები) პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია ელექტრონული სწავლება (E-learning)</p>
შეფასების მექანიზმი	<p>სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>ა.ა) (A) ფრიადი– შეფასების 91-100 ქულა; ა.ბ) (B) ძალიან კარგი– მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; ა.გ) (C) კარგი– მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი– მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ა.ე) (E) საკმარისი– მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</p> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს,</p>

	<p>რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>ბ.ბ) (F) ჩაიჭრა– მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.</p>
სწავლის შედეგები	<p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. განმარტავს ბიზნესის ადმინისტრირების და მეწარმეობის თეორიულ - მეთოდოლოგიური საფუძვლებს, ბიზნესის თანამედროვე ტენდენციებს, ეკონომიკასა და ბიზნესში მიმდინარე პროცესებზე მოქმედ ფაქტორებს. 2. აღწერს ბიზნესზე მოქმედ გარემოს, ბიზნესის ადმინისტრირების, ფინანსების, ბუღალტრული აღრიცხვის, მარკეტინგის და მენეჯმენტის ფუნდამენტურ ცნებებს და პრინციპებს, 3. განასხვავებს ადგილობრივი და საერთაშორისო ბიზნესის ძირითად პრინციპებს, მათი მართვის თავისებურებებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არსებულ ეკონომიკურ, საფინანსო, მარკეტინგული და ადამიანური რესურსების მართვის ინსტრუმენტებს და მახასიათებლებს. <p>უნარი:</p> <ol style="list-style-type: none"> 4. მისი კომპეტენციი სფარგლებში შეიმუშავებს ბიზნეს იდეას/პროექტს და განსაზღვრავს ბიზნეს პროექტის, გეგმის შემადგენლებს, ბიზნეს პროექტის, რისკების სახეებს, მათი მართვის სტრუქტურას, ბიზნეს იდეის, პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის საჭირო რესურსებს, კონკურენტულ ბაზარზე კომპანიის ქცევის პარამეტრებს, მარკეტინგული გეგმის(პროგრამის) ინსტრუმენტებსა და შემადგენლებს, კომპანიის ოპერაციულ სტრატეგიებს; 5. მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით, აანალიზებს ეკონომიკასა და ბიზნესში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მახასიათებლებს, მონაცემებს, ბიზნესისა და მეწარმეობის თანამედროვე მიდგომებს ბიზნეს გადაწყვეტილების მისაღებად, ასევე საგადასახადო, საფინანსო და ადამიანურ რესურსების მართვის პოლიტიკას და აყალიბებს სათანადო დასკვნებს; 6. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს ბიზნეს პროექტების და პროცესების მართვისთვის, ამყარებს როგორც ზეპირ, ასევე წერილობით კომუნიკაციას ბიზნესის მართვის საკითხებზე მშობლიურ და უცხო ენაზე დაინტერესებულ მხარეებთან; <p>კონცენტრაცია მარკეტინგი</p>

ცოდნა და გაცნობიერება

7.1.1 განმარტავს მარკეტინგული საქმიანობის ძირითად პრინციპებს, მარკეტინგული კვლევის მეთოდებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის თავისებურებებს, ბრენდინგის ძირითად შემადგენლებს, გაყიდვების განმასხვავებელ მახასიათებლებს და საერთაშორისო მარკეტინგის უახლეს კონცეფციებს;

უნარები

7.1.2. აანალიზებს მარკეტინგული კვლევის შედეგებს, საერთაშორისო მარკეტინგულ სტანდარტებს, გაყიდვების სტიმულირების ღონისძიებებს, საზოგადოების ურთიერთობის ინსტრუმენტებს და თანამედროვე მიდგომებს. ბრენდისა და საქონლის პოზიციონირების ეფექტურ ფორმებს,

კონცენტრაცია მენეჯმენტი**ცოდნა და გაცნობიერება**

7.2.1 განმარტავს ორგანიზაციულ მართვასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად პრინციპებს, ორგანიზაციული ქცევის ძირითად მახასიათებლებს,, ინოვაციური მართვის თანამედროვე მიდგომებს. საერთაშორისო მართვის თავისებურებებებს და უახლეს ტენდენციებს, კორპორაციული მართვის თეორიულ ასპექტებსა და ინსტრუმენტებს;

უნარები

7.2.2 აანალიზებს ინოვაციური მართვის შედეგებს, ორგანიზაციული ქცევის ეფექტურ მიდგომებს, საერთაშორისო მენეჯმენტის მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, კორპორაციული მართვის თავისებურებებს, და აკეთებს დასკვნებს მისი კომპეტენციის ფარგლებში.

კონცენტრაცია ფინანსები**ცოდნა და გაცნობიერება**

7.3.1. განმარტავს თანამედროვე საფინანსო-საბანკო სისტემების მოდელს, საერთაშორისო საფინანსო ურთიერთობათა თვისებებს, საინვესტიციო გარემოს შეფასების მეთოდურ ინსტრუმენტებს, საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიან გზებს.

უნარები

7.3.2 აანალიზებს საბანკო და ფინანსური ინსტრუმენტების თანამედროვე მიდგომებს ბიზნეს გეგმის შემუშავებისთვის, საინვესტიციო და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების ხერხებს.

	<p>ფინანსების და საბანკო სისტემის მართვის მექანიზმებს ძირითად თავისებურებებს,</p> <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:</p> <p>8. კომპლექსურ და არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში ახდენს როგორც საკუთარი, ისე სხვების განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას და სამართლებრივი, ეთიკური და ეროვნული ღირებულებების დაცვით მონაწილეობს შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში.</p> <p>9 ასრულებს კვლევით ან პრაქტიკული ხასიათის /ნაშრომს/პროექტს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. დინამიურად ცვალებად ბიზნესის გარემოში მიმდინარე პროცესების და გამოწვევების შეფასებისთვის,</p>
დასაქმების სფერო	<p>I. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში - ხარისხის მიღების შემდგომ, ბაკალავრს საქმიანობა შეუძლია განახორციელოს ბიზნესისა და ეკონომიკის როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურებში. ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფეროა ბიზნესისა და ეკონომიკის რეალური სექტორი, საბანკო სისტემა, სადაზღვევო ორგანიზაციები, ტურიზმის სერქტორი, კომერციული და/ან არაკომერციული ორგანიზაციები. ბაკალავრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საწარმოთა და მათ ქვედანაყოფთა მარკეტინგულ მართვაში, მარკეტინგული კვლევებში, მარკეტოლოგის/მარკეტინგის მენეჯერის ასისტენტის, თანაშემწის, მარკეტინგის სპეციალისტის, გაყიდვების მენეჯერის და სხვა შესაბამის პოზიციებზე; მონაწილეობა მიიღოს კომპანიის სტრატეგიის განხორციელების, მარკეტინგული გეგმის, მარკეტინგული სტრატეგიებისა და ღონისძიებების შემუშავების პროცესში.</p> <p>ზემოთ აღნიშნულ სტრუქტურებსა და მათ ქვედანაყოფებში ბაკალავრი შეუძლია დასაქმდეს მარკეტინგის მენეჯერის თანაშემწის, გაყიდვების მენეჯერის, მარკეტინგის სპეციალისტის, ბრენდ მენეჯერის ასისტენტის და სხვა შესაბამის პოზიციებზე;</p> <p>II. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში ხარისხის მიღების შემდგომ ბაკალავრის საქმიანობა შეეძლება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურებში; საქართველოში არსებულ ეროვნულ და საერთაშორისო კომპანიებში, როგორც სამრეწველო, ისე მომსახურების სფეროების ერთობლივ საწარმოებში, სადაზღვევო კომპანიებში, ტურიზმის დეპარტამენტსა და სააგენტოებში,</p> <p>ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფეროა ეკონომიკის რეალური სექტორი, საბანკო სისტემა, ბიზნესი და მეწარმეობა, კომერციული და/ან არაკომერციული ორგანიზაციების ანალიზის, დაგეგმვის, ორგანიზების, მმართველობით გადაწყვეტილებათა მომზადებისა და მიღების პროცესებში მონაწილეობა.</p> <p>ზემოთ აღნიშნულ სტრუქტურებსა და მათ ქვედანაყოფებში ბაკალავრი შეუძლია დასაქმდეს მართვის, ქვედა ან შუალედურ რგოლში</p>

მენეჯერის, მენეჯერის თანაშემწის, პროექტების მენეჯერის და სხვა შესაბამის პოზიციებზე.

III. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში ხარისხის მიღების შემდგომ ბაკალავრის საქმიანობა შეეძლება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურებში; საქართველოში არსებულ ეროვნულ და საერთაშორისო კომპანიებში, სამრეწველო, აგრო ბიზნესის, სოფლის მეურნეობის ობიექტებზე, სამრეწველო საწარმოებში, მომსახურების სფეროების ობიექტებზე, სადაზღვევო კომპანიებში, ტურიზმის დეპარტამენტსა და სააგენტოებში, ჯანდაცვის, განათლების, საბანკო-საფინანსო დაწესებულებებში.

ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფეროა ეკონომიკის რეალური სექტორი, საბანკო სისტემა, ბიზნესი და მეწარმეობა, კომერციული და/ან არაკომერციული ორგანიზაციების ფინანსური ანალიზის, დაგეგმვის, ფინანსების მართვასა და რეგულირებაში მმართველობით გადაწყვეტილებათა მომზადებისა და მიღების პროცესებში მონაწილეობა.

ზემოთ აღნიშნულ სტრუქტურებსა და მათ ქვედანაყოფებში ბაკალავრი შეუძლია დასაქმდეს ფინანსური რესურსების მართვაში, დაგეგმვასა და ორგანიზებაში ქვედა ან შუალედურ რგოლში ფინანსური მენეჯერის თანაშემწედ, სპეციალისტად, ფინანსურ კონსულტანტად და სხვა შესაბამის პოზიციებზე

პროგრამის კურსდამთავრებულს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში, ან დაეუფლოს კვალიფიკაციის ამაღლების სხვა პროგრამებს.



პროგრამის სახელწოდება	ტურიზმი Tourism
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში Bachelor of Business Administration in Tourism
პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით	240 ECTS კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
სწავლების ხანგრძლივობა	მინიმუმ 8 სემესტრი
სწავლების გადასახადი	2250 ლარი
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, სამღერეთის ქ.#5
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი სოფიკო თევდორაძე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<p>ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, გაწერილია გთუნი-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.</p> <p>ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის უფლების მოპოვება ხდება:</p> <p>ჩარიცხვის პირობები:</p> <p>ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების (1.ქართული ენა და ლიტერატურა; 2. უცხოური ენა -ინგლისური, გერმანული, რუსული; 3. არჩევითი-სავალდებულო - მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია და სხვა) საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმადღესი განათლების შესახებ“, მუხლი 52).</p> <p>სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ პირი ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტს წარუდგინოს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვედვებარებულმა პირმა-სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი. ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების ერთი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის აქტივით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.</p> <p>ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.</p>
პროგრამის მიზანი	ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზნებია სტუდენტს:

	<ul style="list-style-type: none"> ▪ შესძინოს ტურიზმის დარგის თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული ფართო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები; ▪ გამოუმუშაოს ტურიზმის ტრენდების, გამოწვევების ანალიზისა და ანალიზის შედეგების საფუძველზე, არგუმენტირებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი; ▪ გაარკვიოს ტურისტული ინდუსტრიის მმართველობით და დარგობრივ სტრუქტურაში, შესწავლოს მათ ტურისტული ბაზრის სამომხმარებლო ღირებულებების ფორმირების მექანიზმი, მსოფლიო ტურისტული ინდუსტრიის თანამედროვე მდგომარეობა და მდგრადი განვითარების ტენდენციები/პერსპექტივები; ▪ წვლილი შეიტანოს ტურიზმის, როგორც ბუნებრივი, ისტორიული, მულტიკულტურული ღირებულებების დამცველისადმი მართებული დამოკიდებულების ფორმირებასა და დამკვიდრებაში, გამოუმუშაოს პროფესიული საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი და პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება.
<p>პროგრამის მოკლე აღწერა</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ECTS -ის 240 კრედიტის დაგროვებას. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას. კრედიტი დროს ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის ერთი კომპონენტის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.</p> <p>ერთი სასწავლო წელი შედგება ორი, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან, მოიცავს 38 სასწავლო და სასესიო კვირას, 4 კვირას დამატებითი გამოცდებისათვის (2 კვირა თითოეულ სემესტრში) და 60 კრედიტს.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა ოთხწლიანია; სემესტრის განმავლობაში ბაკალავრმა სასურველია დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი, ხოლო წელიწადში - საშუალოდ 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.</p> <p>საბაკალავრო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არაუმეტეს 6 სემესტრი) განმავლობაში.</p> <p>პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის ხარისხს განსაზღვრავს სრული საგანმანათლებლო პროგრამის GPA. კერძოდ, თუ GPA ტოლია ან მეტი 3.55 გაიცემა წარჩინების, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვეულებრივი დიპლომი.</p>

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები	155 ECTS კრედიტი
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები	25 ECTS კრედიტი
თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები	40 ECTS კრედიტი
თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები	20 ECTS კრედიტი
სწავლება/სწავლის მეთოდები	<p>პროგრამაზე სწავლება/სწავლა ხორციელდება სწავლების შემდეგი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ლექცია: ➤ პრაქტიკული მეცადინეობა დამოუკიდებელი მუშაობა: ➤ ახსნა-განმარტებითი მეთოდი ➤ ანალიზი ➤ სინთეზი ➤ პრობლემაზე დაფუძნებული ლექცია (PBL) ➤ დისკუსია/დებატები ➤ ჯგუფში მუშაობა - ➤ პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია ➤ გონებრივი იერიში ➤ პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project-Based Learning) . ➤ ქეის-მეთოდი ➤ როლური და სიტუაციური თამაშები ➤ ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD) ➤ ელექტრონული სწავლება (E-learning)
შეფასების მექანიზმი	<p>სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>ა.ა) (A) ფრიადი– შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>ა.ბ) (B) ძალიან კარგი– მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>ა.გ) (C) კარგი– მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი– მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>ა.ე) (E) საკმარისი– მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</p> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>ბ.ბ) (F) ჩაიჭრა– მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>

	<p>საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.</p>
სწავლის შედეგები	<p>ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულნი:</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. განმარტავს ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებულ ბიზნესის, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების პრინციპებსა და ფორმებს, სტრატეგიული მართვის სპეციფიკურ მეთოდებს/ხერხებს, ადამიანური რესურსების საქმიანობის სპეციფიკას, ბიზნეს გარემოს მახასიათებლებს, ეკონომიკურ-ფინანსურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ, სოციალურ-კულტურულ და ეკოლოგიურ საკითხებს 2. აღწერს ტურიზმის თეორიულ საფუძვლებს, ტურისტული ინდუსტრიის როლსა და მნიშვნელობას გლობალურ და ეროვნულ ასპექტებში; ტურიზმის ტრენდებს და გამოწვევებს; <p>უნარი:</p> <ol style="list-style-type: none"> 3. აანალიზებს ტურისტულ საქმიანობაში წამოჭრილ პრობლემებს და ტურისტული რესურსების ეფექტიანი განაწილება/გამოყენებისათვის აყალიბებს რეკომენდაციებს; 4. ახდენს ტურისტულ-რეკრეაციული დესტინაციების ეფექტიანი მენეჯმენტისა და მდგრადი განვითარების თანამედროვე მიდგომების, დესტინაციის ტურიზმის ხარისხის განვითარების პრობლემების და ტურიზმის სფეროში არსებული რისკების იდენტიფიცირებას; პროექტ(ებ)ის მართვის ცოდნის დემონსტრირებას; 5. განსაზღვრავს ტუროპერატორის ფუნქციებს, მართვის ძირითად ასპექტებს და ტურის მოდელირების ინსტრუმენტებს; 6. ტურისტული ინდუსტრიის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის იყენებს მარკეტინგული კვლევის მეთოდებს/ ინსტრუმენტებს და მომსახურების სპეციალურ პროგრამებსა/ ტექნოლოგიებს 7. წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად შეიმუშავებს ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებებით მცირე კვლევითი, პრაქტიკული ხასიათის პროექტს და/ან ღონისძიებას 8. თანამედროვე საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით წარადგენს ტურიზმთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ზეპირი და/ან წერილობითი კომუნიკაციის საშუალებით, დარგობრივ უცხო ენაზე <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:</p> <ol style="list-style-type: none"> 9. ტურისტული საქმიანობის განხორციელებისას ზრუნავს როგორც საკუთარ ასევე, გუნდის წევრთა პროფესიულ განვითარებაზე, კორპორაციული პასუხისმგებლობებისა და ეთიკური პრინციპების

	დაცვით.
დასაქმების სფერო	<p>ტურიზმი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი და სწრაფად მზარდი ინდუსტრია, მსოფლიოში ყველაზე მსხვილ დამსაქმებელს წარმოადგენს და გამოირჩევა უაღრესად მრავალფეროვანი პოზიციების ფართო არჩევანით. სწავლის პროცესში შეძენილი კომპეტენციების, მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, ბაკალავრს შეუძლია დასაქმდეს ტურისტული ინდუსტრიის სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში და შეასრულოს სპეციალისტის ფუნქციები.</p> <p>კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლებლობები:</p> <p>სახელმწიფო სექტორი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი; ტურიზმის რეგიონული საინფორმაციო ცენტრები; დაცული ტერიტორიები და ეროვნული პარკები და სხვა.</p> <p>კერძო სექტორი: ტუროპერატორული კომპანიები, ტურისტული სააგენტოები; სასტუმროები (მ.შ. Ho-Re-Ca); კვების ობიექტები; რეკრეაციული ობიექტები; ტურისტული ატრაქციების მართვასა და განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაციები; ავიაკომპანიები; სახმელეთო ტრანსპორტის გამქირავებელი კომპანიები; შეხვედრებისა და ღონისძიებების ორგანიზების კომპანიები და სხვა.</p> <p>ტურიზმის სფეროში მოქმედი ასოციაციები: საქართველოს ტურიზმის ასოციაცია; გიდების ასოციაცია; ეკოტურიზმის ასოციაცია; მთის კურორტების ასოციაცია და სხვა.</p> <p>კურსდამთავრებულმა შეიძლება დაიკავოს შემდეგი პოზიციები: ადმინისტრატორი, მომსახურების გაყიდვის მენეჯერი, ტურაგენტი, მომსახურების ფორმირების სპეციალისტი, მენეჯერის ასისტენტი, ტურების გაყიდვის სპეციალისტი და სხვა.</p>

პროგრამის სახელწოდება	ჟურნალისტიკა Journalism
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ჟურნალისტიკაში Bachelor of Social Sciences in Journalism
პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით	240 ECTS
სწავლების ენა	ქართული
სწავლების ხანგრძლივობა	8 სემესტრი
სწავლების გადასახადი	2250 ლარი
პროგრამის განხორციელების ადგილი	შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
პროგრამის ხელმძღვანელი	მარინე ვეკუა, პროფესორი marine.vekua@gttu.edu.ge
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<p>ა) პირს, რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად და აბიტურიენტთა ქულების რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე მოიპოვა უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლება.</p> <p>ბ) ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.</p> <p>გ) პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია შიდა მობილობით მოიპოვოს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და შპს გთუნი-ს სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად</p>
პროგრამის მიზანი	<ol style="list-style-type: none"> შეასწავლოს ჟურნალისტიკის, როგორც ერთიანი მედიასისტემის ყველა კომპონენტი, თეორიის ძირითად დებულებები, უმთავრესი პრინციპები, დარგის განვითარების ეტაპები; შეძინოს ჟურნალისტიკის რეგულირებისა და თვითრეგულირების; ჩამოუყალიბოს მედიატექსტის (ბეჭდური, აუდიო, ვიდეო, ახალი მედია) ეტაპობრივად მომზადების უნარი; განუვითაროს რესპოდენტთან, კოლეგებთან, წყაროსთან, მცირერიცხოვან გჯუგებთან წერითი და ზეპირი კომუნიკაციის დამყარების უნარი ქართულ და ინგლისურ ენებზე; შეარჩევინოს რეალობის გაშუქების ოფტიმალური ფორმები და ხერხები მიზნობრივი აუდიტორიის სპეციფიკის გათვალისწინებით, საინფორმაციო საბაზი და აქტუალური თემა; განუვითაროს სიახლეების ათვისებისა და საკუთარი სწავლების მუდმივი სრულყოფის უნარი; განუვითაროს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ბეჭდური, სამაუწყებლო და ახალი მედიისთვის მედიაპროდუქტის მომზადების უნარი; განუვითაროს სტუდიური და გარე გადაღების/ჩაწერის დაგეგმვა და ორგანიზება, სტუდიური მონტაჟის, დაკაბადონებისა და სხვა სპეციფიკური პროგრამების ელემენტების გამოყენების უნარი.
პროგრამის მოკლე აღწერა	საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ECTS -ის 240 კრედიტის დაგროვებას. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას. კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის ერთი კომპონენტის

	<p>ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.</p> <p>ერთი სასწავლო წელი შედგება ორი, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან, მოიცავს 38 სასწავლო და სასესიო კვირას, 4 კვირას დამატებითი გამოცდებისათვის (2 კვირა თითოეულ სემესტრში) და 60 კრედიტს.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა ოთხწლიანია; სემესტრის განმავლობაში ბაკალავრმა სასურველია დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი, ხოლო წელიწადში - საშუალოდ 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.</p> <p>საბაკალავრო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არაუმეტეს 6 სემესტრი) განმავლობაში.</p> <p>პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის ხარისხს განსაზღვრავს სრული საგანმანათლებლო პროგრამის GPA. კერძოდ, თუ GPA ტოლია ან მეტი 3.55 გაიცემა წარჩინების, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვეულებრივი დიპლომი.</p> <p>პროგრამის ფარგლებში მოქმედებს თემატური ჟურნალისტიკის შემოქმედებითი სახელოსნოები, სადაც ოსტატები - გამოცდილი და ცნობილი ჟურნალისტები სტუდენტთა მცირერიცხოვან ჯგუფებში ფოკუსირებას მიახდენენ კონკრეტულ პრობლემატიკის გაშუქებას.</p>
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები	120 ECTS
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები	60 ECTS
თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები	40 ECTS
თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები	20 ECTS
სწავლება/სწავლის მეთოდები	<p>პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ახსნა -განმარტება ➤ ანალიზი/სინთეზი ➤ ინდუქცია, დედუქცია ➤ დისკუსია/დებატები ➤ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ➤ ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება ➤ პრეზენტაცია (ზეპირი, Power Point და სხვა) ➤ წიგნზე მუშაობა ➤ წერითი მუშაობის/რეფერატის მომზადება ➤ ჯგუფური (collaborative) მუშაობა ➤ შემთხვევის ანალიზი (Case study) ➤ დემონსტრირების მეთოდი ➤ თემის შერჩევა-დავიწროება (choosing and narrowing) ➤ ელექტრონული სწავლება (E-learning) ➤ ლექცია-ვიზუალიზაცია

	<ul style="list-style-type: none"> ➤ ლექცია-დიალოგი ➤ ლექცია-პრეს-კონფერენცია ➤ დახურულ ფეისბუქ-ჯგუფი (ანკეტირება) ➤ გონებრივი იერიში (brain-storming) ➤ ”ობობის” მეთოდი (spider)
შეფასების მექანიზმი	<p>სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>ა.ა) (A) ფრიადი– შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>ა.ბ) (B) ძალიან კარგი– მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>ა.გ) (C) კარგი– მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი– მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>ა.ე) (E) საკმარისი– მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</p> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>ბ.ბ) (F) ჩაიჭრა– მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.</p>
სწავლის შედეგები	<p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <p>I. ჩამოთვლის ჟურნალისტიკის ერთიანი მედიასისტემის ყველა კომპონენტს და მათ ფუნქციებს; თეორიის ძირითად დებულებებსა და პრინციპებს, დარგის განვითარების ეტაპებს;</p> <p>II. აღწერს ჟურნალისტიკის რეგულირებისა და თვითრეგულირების პრინციპებს</p> <p>უნარი:</p> <p>III. აყალიბებს მედიატექსტის (ბეჭდური, აუდიო, ვიდეო, ახალი მედია) თანმიმდევრულად მომზადების ყველა ეტაპს;</p> <p>IV. ავლენს რესპოდენტთან, კოლეგებთან, წყაროსთან, მცირერიცხოვან გჯუფებთან წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარს ქართულ და ინგლისურ ენებზე;</p> <p>V. არჩევს რეალობის გაშუქების ოფტიმალური ფორმებსა და ხერხებს მიზნობრივი აუდიტორიის სპეციფიკის გათვალისწინებით, საინფორმაციო საბაზს, აქტუალურ თემას;</p> <p>VI. იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს ბეჭდური, სამაუწყებლო და ახალი მედიისთვის მედიაპროდუქტის მომზადებისთვის;</p> <p>VII. გეგმავს სტუდიური და გარე გადაღებას/ჩაწერას, სტუდიურ მონტაჟს</p>

	<p>სპეციფიკური პროგრამების ელემენტების გამოყენებით.</p> <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:</p> <p>VIII. ადგენს სასწავლო პროცესის მოთხოვნებს საკუთარი/სხვისი სწავლების დაგეგმვისა და შესრულების მიზნით;</p> <p>IX. აფასებს მასმედიის სფეროში პროფესიულ ეთიკასა და საერთაშორისო სტანდარტებს.</p>
<p>დასაქმების სფერო</p>	<p>სწავლის პროცესში მიღებული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ელემენტარული კვლევითი გამოცდილება იძლევა იმის საფუძველს, რომ კურსდამთავრებულმა შეძლოს მოთხოვნების დაკმაყოფილება მედიასაშუალებებში (გაზეთში, ჟურნალში, სატელევიზიო კომპანიაში, რადიოკომპანიაში, საინფორმაციო სააგენტოში, მედიაჰოლდინგში, ინტერნეტგამოცემაში) და სხვა არასამთავრობო, თუ სახელმწიფო ორგანიზაციაში შემდეგი პოზიციების დასაკავებლად: ჟურნალისტი/კორესპოდენტი/რეპორტიორი, რიგითი რედაქტორი, დაბალი რგოლის მედიამენეჯერი, პროდიუსერი, პრეს-სამსახურის სპეციალისტი, მემონტაჟი, ოპერატორის ასისტენტი.</p>



პროგრამის სახელწოდება	ფსიქოლოგია Psychology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ფსიქოლოგიაში Bachelor of Social Sciences in Psychology
პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით	240 ECTS კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
სწავლების ხანგრძლივობა	მინიმუმ 8 სემესტრი
სწავლების გადასახადი	2250 ლარი
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, სამღერეთის ქ. #5
პროგრამის ხელმძღვანელი	გიორგი გერგაული, ასოცირებული პროფესორი G.gergauli@gtuni.edu.ge
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<p>ფსიქოლოგიის ქართულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და რომელიც, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვებს სწავლის უფლებას აღნიშნულ პროგრამაზე და გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში.</p> <p>ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დასაშვებია:</p> <ul style="list-style-type: none"> - უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება; - საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; - უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; - საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის

	<p>კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;</p> <p>უნივერსიტეტი ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოპოვების მსურველი პირების პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ატარებს გასაუბრებას და უზრუნველყოფს აღნიშნული გასაუბრების ვიდეოჩანაწერის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობას.</p>
<p>პროგრამის მიზანი</p>	<p>ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებია:</p> <ul style="list-style-type: none"> - შესძინოს სტუდენტს ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების საფუძვლებისა და მისი თანამედროვე მიმდინარეობების შესახებ ფართო ცოდნა, გამოუმუშაოს ფსიქოლოგიის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი; - მისცეს სტუდენტს საშუალება გაეცნოს და შეისწავლოს პიროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბების ამხსნელი თეორიები, აღწეროს პიროვნების ქცევის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები; - გააცნოს ფსიქოლოგიის თანამედროვე კვლევის მეთოდები, მათი პრაქტიკაში გამოყენების უზრუნველსაყოფად; - განუვითაროს სტუდენტს კომუნიკაციის, თანამშრომლობის, კრიტიკული აზროვნების და პროფესიული ეთიკის დაცვის უნარები და ღირებულებები; - მოახდინოს სტუდენტში რეალობის ემპირიული გაგებების და აღქმის ფორმირება, რაც დაეხმარება იმ პიროვნული თვისებების განვითარებაში რომლებიც პროფესიული კომპეტენციების სრულყოფასა და ბაკალავრის საფეხურზე მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით ზედა საფეხურის აკადემიური პროგრამების უკეთ დაუფლებაში შეუწყობს ხელს.
<p>პროგრამის მოკლე აღწერა</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ECTS-ის 240 კრედიტის დაგროვებას. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას. კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის ერთი კომპონენტის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა ოთხწლიანია. ერთი სასწავლო წელი შედგება ორი, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან. სემესტრის განმავლობაში ბაკალავრმა სასურველია დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი, ხოლო წელიწადში - საშუალოდ 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.</p> <p>საბაკალავრო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი</p>

	<p>სემესტრების (არაუმეტეს 6 სემესტრი) განმავლობაში.</p> <p>პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის ხარისხს განსაზღვრავს სრული საგანმანათლებლო პროგრამის GPA. კერძოდ, თუ GPA ტოლია ან მეტი 3.55 გაიცემა წარჩინების, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვეულებრივი დიპლომი.</p>
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები	144 ECTS კრედიტი
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები	40 ECTS კრედიტი
თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები	40 ECTS კრედიტი
თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები	16 ECTS კრედიტი
სწავლება/სწავლის მეთოდები	<p>გთუნი-ში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები ეყრდნობა თანამედროვე დიდაქტიკურ კონცეფციებს და წარმოაჩენს კავშირს პროფესორის საქმიანობასა (სწავლება) და სტუდენტის შემეცნებით საქმიანობას (სწავლას) შორის, გამოკვეთს, თუ რა მიზნით ვასწავლით, რას ვასწავლით და როგორ ვასწავლით.</p> <p>სწავლების მეთოდოლოგიური საფუძვლებია: სწავლების თანამედროვე მეთოდები, განმავითარებელი სწავლება, სტუდენტთა ჩართულობა, სწავლების სისტემურობა და სისტემატურობა, სწავლების კავშირი პროფესიულ პრაქტიკასთან, საგანთშორისი კავშირების გათვალისწინება.</p> <p>პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიყენება სწავლების როგორც კლასიკური (ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი), ისე თანამედროვე მეთოდები და მათი კომბინაცია. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აქტიური და ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებას, რაც სტუდენტს აქცევს სწავლების რეალურ სუბიექტად.</p> <p>ამ მეთოდების დანიშნულებაა სწავლება, როგორც შემეცნების ერთობლივი პროცესი, როდესაც ცოდნა მიიღწევა ერთობლივი საქმიანობით დიალოგის, პოლილოგის მეშვეობით. ეს მეთოდები განსხვავდება სწავლების ჩვეული მეთოდებისაგან და აყალიბებს თეორიის გაცნობიერების ახალ გამოცდილებას მისი უშუალოდ სწავლის პროცესში გამოყენების გზით. ინტერაქტიული სწავლების ფორმები და მეთოდები უაღრესად მრავალფეროვანია, რომელთა შერჩევა, დამუშავება და გამოყენება ლექტორს შეუძლია აკადემიური თავისუფლების ფარგლებში თავისი შეხედულებისამებრ.</p> <p>ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ლექცია; ➤ სემინარი; ➤ პრაქტიკული მეცადინეობა;

	<ul style="list-style-type: none"> ➤ ჯგუფში მუშაობა; ➤ დამოუკიდებელი მუშაობა; ➤ ლექცია-ვიზუალიზაცია; ➤ დისკუსია/დებატები; ➤ გონებრივი იერიში; ➤ ქეის მეთოდი; ➤ ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ➤ ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; ➤ დემონსტრირების მეთოდი; ➤ როლური და სიტუაციური თამაშები; ➤ ინდუქციური, დედუქციური, ანალიზის და სინთეზის მეთოდი; ➤ პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია; ➤ ელექტრონული სწავლება.
შეფასების მექანიზმი	<p>სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</p> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.</p> <p>სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.</p>
სწავლის შედეგები	<p>ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ახდენს ფსიქოლოგიის მეცნიერების თეორიული საფუძვლების კლასიფიცირებას თანამედროვე ფსიქოლოგიურ მიმდინარეობებამ; 2. აკლასიფიცირებს პიროვნების ფსიქოლოგიის ძირითად ცნებებსა და

	<p>დებულებებს, გენეტიკურ, სოციალურ ფაქტორებს და განსაზღვრავს ძირითადი ფსიქიკური აშლილობების ზოგად დიაგნოსტიკურ კრიტერიუმებს;</p> <p>3. განიხილავს/ხსნის პიროვნების განვითარების ძირითად მახასიათებლებს, ფსიქიკური ფუნქციების, განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების, განვითარების დარღვევების ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს;</p> <p>4. აღწერს და განმარტავს ადამიანისა და გარესამყაროს ურთიერთქმედების პროცესში ქცევის საფუძვლებს, სტრუქტურას, ფორმებს, სახეებსა და კანონზომიერებებს, ქცევის ფსიქოლოგიურ კლასიფიკაციებსა და ახსნებს;</p> <p>უნარი:</p> <p>5. იყენებს ფსიქოლოგიის ძირითად თეორიებს, პიროვნების ემპირიული კვლევის მეთოდებსა და სტატისტიკურ მეთოდებს მცირე მასშტაბის კვლევების დაგეგმვისთვის, SPSS პროგრამის გამოყენებით;</p> <p>6. ამზადებს კვლევით ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს და სათანადო რეკომენდაციებს წინასწარ განსაზღვრული მითითების შესაბამისად;</p> <p>7. აანალიზებს და აფასებს ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემებს ამოცნობის, გამოკვლევის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დამწყების დონეზე;</p> <p>8. ამყარებს წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას სფეროს პროფესიონალებთან და არაპროფესიონალებთან როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენაზე;</p> <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:</p> <p>9. იყენებს მიღებულ ცოდნას კეთილსინდისიერად, პასუხისმგებლობითა და ეთიკური პრინციპების დაცვით და პატივს სცემს საზოგადოების განსხვავებულ მახასიათებლებს;</p> <p>10. აფასებს და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით ახორციელებს პროფესიული განვითარების საჭიროებების დაგეგმვის და განვითარების პროცესს.</p>
დასაქმების სფერო	<p>საბაკალავრო პროგრამის დასრულებისა და ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდგომ სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ფსიქოლოგიაში - სწავლის პროცესში შეძენილი ცოდნა, პრაქტიკაში მისი გამოყენების უნარ-ჩვევები და კვლევითი გამოცდილების გარკვეული დონე საშუალებას აძლევს იმუშაოს სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში და შეასრულოს სპეციალისტის ფუნქციები - განათლების სექტორში, ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში, ძალოვან სტრუქტურებში, საწარმოო ორგანიზაციებში, კერძოდ, ნებისმიერ დაწესებულებაში, რომელსაც სჭირდება პროფესიონალი ფსიქოლოგი და არ ითხოვს მაგისტრის აკადემიურ ხარისხს. კურსდამთავრებული შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას როგორც ძირითად, ასევე მომიჯნავე სფეროებში დასაქმებისას.</p> <ul style="list-style-type: none"> • საქმიანობის ობიექტი - საჯარო სამსახური, ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებები (საჯარო და კერძო სკოლები, ბაგა-ბაღები), ბავშვთა თავშესაფრები და

მწვანედაცვარდელი მოზარდები, სასჯელადსრულებისა და პრობაციის სისტემა, საბანკო სექტორი და ა.შ.

- საქმიანობის სახეები - ფსიქოლოგი, პედაგოგის დამხმარე, კლასის ტუტორი, პერსონალის შერჩევა და კვლევა, კლიენტთა მომსახურების, სასჯელადსრულების სისტემაში მყოფ და გათავისუფლებულ პირთა რესოციალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში ჩართულობა და ა.შ.





პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (ინგლისურენოვანი)

პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება Business Administration
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი Bachelor of Business Administration
პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით	240 ECTS
სწავლების ენა	ინგლისური ენა
სწავლების ხანგრძლივობა	8 სემესტრი
სწავლების გადასახადი	
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, სამღერეთის ქ.#5
პროგრამის ხელმძღვანელი	ზურაბ მუშკუდიანი ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი,
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<p>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.</p> <p>ჩარიცხვის პირობები:</p> <p>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების (ქართული ენა და ლიტერატურა; უცხოური ენა (ინგლისური); არჩევითი-სავალდებულო საგნებიდან ერთერთი (ან გეოგრაფია, ან ისტორია ან მათემატიკა) შედეგების საფუძველზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმალესი განათლების შესახებ“, მუხლი 52).</p> <p>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია შიდა მობილობის ან მობილობის წესით, კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ (შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრში), მოქმედი კანონმდებლობის და სასწავლო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების დაცვის შესასაბამისად.</p>
პროგრამის მიზანი	<p>1. აღზარდოს ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული კონკურენტუნარიანი, ეროვნული ღირებულებების მქონე მოაზროვნე პიროვნება, რომელსაც აქვს ფართო ზოგადი და დარგობრივი ცოდნა ბიზნეს ადმინისტრირების სფეროში, იცნობს ბიზნესის თანამედროვე ტენდენციებს, უახლეს გამოცდილებას და ცვალებად გარემოში მზადაა მისი კომპეტენციის ფარგლებში ეფექტიანად გამოიყენოს ბიზნესის ადმინისტრირების პრონციპები</p>

	<p>და ინსტრუმენტები და საჭიროებისამებრ წარმართოს საქმიანობა.</p> <ol style="list-style-type: none"> 2. ბიზნეს იდეის ფორმირების უზრუნველყოფისათვის, ბიზნეს პროცესების განვითარებაში, სამეწარმეო რესურსების დაგეგმვასა და განაწილებაში მონაწილეობის მიღების, კვლევითი ხასიათის ნაშრომის/მცირე პროექტის შესრულების და პრაქტიკაში რეალიზაციისთვის სტუდენტს გამოუმუშავოს პროფესიული განვითარების და გუნდური მუშაობის უნარი; 3. ბიზნეს გარემოს შეფასებისა და მიზანმიმართული გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველსაყოფად, სტუდენტს განუვითაროს ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენების უნარი, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან ურთიერთობისათვის, ზეპირი და წერილობითი ფორმით საკუთარი პოზიციის დემონსტრირების უნარი ; 4. ჩამოყალიბოს სამეწარმეო უნარები, რათა ბიზნესის სამართლებრივი და ეთიკური ნორმების გათვალისწინებით, მონაწილეობა მიიღოს მოგებაზე ორიენტირებულ ბიზნეს საქმიანობაში.
<p>პროგრამის მოკლე აღწერა</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ECTS -ის 240 კრედიტის დაგროვებას. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას. კრედიტი დროს ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის ერთი კომპონენტის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.</p> <p>ერთი სასწავლო წელი შედგება ორი, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან, მოიცავს 38 სასწავლო და სასესიო კვირას, 4 კვირას დამატებითი გამოცდებისათვის (2 კვირა თითოეულ სემესტრში) და 60 კრედიტს.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა ოთხწლიანია; სემესტრის განმავლობაში ბაკალავრმა სასურველია დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი, ხოლო წელიწადში - საშუალოდ 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.</p> <p>საბაკალავრო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არაუმეტეს 6 სემესტრი) განმავლობაში.</p> <p>პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის ხარისხს განსაზღვრავს სრული საგანმანათლებლო პროგრამის GPA. კერძოდ, თუ GPA ტოლია ან მეტი 3.55 გაიცემა წარჩინების, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვეულებრივი დიპლომი.</p>
<p>ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები</p>	<p>172 ECTS</p>
<p>ძირითადი სწავლის სფეროს</p>	<p>28 ECTS</p>

არჩევითი კურსები	
თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები	20 ECTS
თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები	20 ECTS
სწავლება/სწავლის მეთოდები და ფორმები	<ul style="list-style-type: none"> ➤ ლექცია ➤ პრაქტიკული მეცადინეობა ➤ დამოუკიდებელი მუშაობა ➤ ახსნა-განმარტება ➤ ანალიზი ➤ სინთეზი ➤ ინდუქცია ➤ დედუქცია ➤ დისკუსი/დებატი ➤ ჯგუფური მუშაობის ➤ შემთხვევის ანალიზის ➤ შემთხვევის ანალიზი (Case study) ➤ ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება ➤ დემონსტრირების მეთოდი ➤ როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი ➤ თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება ➤ გონებრივი იერიში (Brain storming) ➤ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (Problem Based Learning) ➤ პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project-Based Learning) ➤ გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება ➤ სოკრატესული მეთოდი ➤ პროექტის შემუშავება და ➤ ელექტრონული სწავლება (E-learning)
შეფასების მექანიზმი	<p>სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>ა.ა) (A) ფრიადი– შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>ა.ბ) (B) ძალიან კარგი– მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>ა.გ) (C) კარგი– მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი– მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>ა.ე) (E) საკმარისი– მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</p> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>ბ.ბ) (F) ჩაიჭრა– მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი</p>

	<p>და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. განმარტავს ბიზნესის ძირითად კონცეფციებს, პრინციპებსა და თეორიებს; ბიზნესისა და მეწარმეობის განმასხვავებელ ნიშნებს; მეწარმის თვისებებს, მეწარმეობის ფორმებსა და მახასიათებლებს; 2. აღწერს ბიზნეს და ეკონომიკურ გარემოში მოქმედ აგენტებს, ბიზნეს გადაწყვეტილებებისათვის ხელსაყრელ თუ ხელისშემშლელ გარემოებებს, მათ მნიშვნელობას ორგანიზაციის ეფექტიანი მართვისთვის. <p>უნარი:</p> <ol style="list-style-type: none"> 3. აანალიზებს სამიზნე ბაზარს, მომხმარებელთა მოთხოვნებს, ბაზარზე მიმდინარე ტენდენციებს, კვლევითი ხასიათის ნაშრომის, მცირე სამეწარმეო პროექტების და ბიზნეს გეგმის რეალიზაციისთვის; 4. ცვალებლად ბიზნეს გარემოში, მინიმალური მითითებების საფუძველზე, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ახორციელებს ბიზნეს პროექტებისათვის რესურსების ოპტიმიზაციას და ეფექტიანად განაწილებას; 5. ორგანიზაციული პოლიტიკის ღირებულებებისა და კულტურის გათვალისწინებით, მისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს კონკურენტუნარიან სტრატეგიებს და სამოქმედო გეგმებს; 6. ამყარებს ეფექტიან კომუნიკაციას გუნდის წევრებთან, ბიზნეს სუბიექტებთან, კონკურენტებთან, უახლესი მიდგომების და ტექნიკების გამოყენებითა და საკუთარი პოზიციის ზეპირი და წერილობითი ფორმით დემონსტრირების გზით; <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:</p> <ol style="list-style-type: none"> 7. განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში წარმართავს მენეჯერულ საქმიანობას სამართლებრივი, ეთიკური ნორმების დაცვით და იღებს პასუხისმგებლობას სამუშაოს შესრულებაზე. 8. ახდენს როგორც საკუთარი, ისე სხვების განვითარების საჭიროებების დადგენას და მონაწილეობს შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში.
<p>დასაქმების სფერო</p>	<p>ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების სფეროებს წარმოადგენს სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო სექტორში სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციები (ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ორგანიზაციები, საწარმოები, ბიზნეს სტრუქტურები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები). სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძენილი უნარებისა და ცოდნით მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ფინანსების მიმართლებით დაიკავებს სპეციალისტის ქვედა ან საშუალო რგოლის მენეჯერის პოზიციას და მისი კომპეტენციის ფარგლებში პრაქტიკულად</p>

განახორციელებს შესაბამის პროფესიულ ფუნქციებს საორგანიზაციო-მმართველობით, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური მიმართულებით.



პროგრამის სახელწოდება	ტურიზმი (Tourism)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში Bachelor of Business Administration in Tourism
პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით	240 ECTS
სწავლების ენა	ინგლისური ენა
სწავლების ხანგრძლივობა	8 სემესტრი
სწავლების გადასახადი	
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, სამღერეთის ქ. #5
პროგრამის ხელმძღვანელი	ნინო კეკელიძე - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ტურიზმის ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, გაწერილია გთუნი-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.
პროგრამის მიზანი	ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია: <ul style="list-style-type: none"> • შესძინოს სტუდენტს ტურიზმის დარგის თანამედროვე საერთაშორისო და ეროვნულ მეცნიერულ მიღწევებზე დაფუძნებული ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; • გაარკვიოს სტუდენტი ტურისტული ინდუსტრიის მმართველობით და დარგობრივ სტრუქტურაში, შეასწავლოს მათ ტურისტული ბაზრის სამომხმარებლო ღირებულებების ფორმირების მექანიზმი, ტურისტული ინდუსტრიის თანამედროვე მდგომარეობა და მდგრადი განვითარების ტენდენციები/პერსპექტივები; • კორპორაციული ეთიკური ნორმებისა და პასუხისმგებლობის დაცვით გამოუმუშაოს სტუდენტს ბუნებრივ-ეკოლოგიური, ისტორიული, მულტიკულტურული ღირებულებები და ფასეულობები. • ტურიზმის ტრენდებისა და გამოწვევების ანალიზის საფუძველზე, გამოუმუშაოს პროფესიული განვითარების, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარი და ჩამოაყალიბოს ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად კონკურენტუნარიან კადრად.
პროგრამის მოკლე აღწერა	საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ECTS -ის 240 კრედიტის დაგროვებას. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას. კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის ერთი კომპონენტის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. ერთი სასწავლო წელი შედგება ორი, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან, მოიცავს 38 სასწავლო და სასესიო კვირას, 4 კვირას დამატებითი გამოცდებისათვის (2 კვირა თითოეულ სემესტრში) და 60 კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამა ოთხწლიანია; სემესტრის განმავლობაში ბაკალავრმა სასურველია დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი, ხოლო წელიწადში - საშუალოდ 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან

მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

საბაკალავრო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არაუმეტეს 6 სემესტრი) განმავლობაში.

პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის ხარისხს განსაზღვრავს სრული საგანმანათლებლო პროგრამის **GPA**. კერძოდ, თუ **GPA** ტოლია ან მეტი 3.55 გაიცემა წარჩინების, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვეულებრივი დიპლომი.

ტურიზმის ინგლისურენოვანი პროგრამის შექმნის ძირითად საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ტურიზმის სწრაფი ზრდა და შესაბამისად, კვალიფიციურ ადამიანურ რესურსებზე არსებული და პროგნოზირებული მზარდი მოთხოვნა, ჩვენი ქვეყნის დაინტერესება ამ დარგისადმი, ვინაიდან ის საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ და სტრატეგიულ დარგად მიიჩნევა. გთუნი-ს ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ტურიზმის სფეროში ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციებში არსებული დაბალი და საშუალო რგოლის სამუშაო პროცესების ეფექტიან მართვას, რაშიც მათ დაეხმარება მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნა და პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა თანხვედრაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორსა და ტურიზმის დარგობრივ მახასიათებელთან. პროგრამა ეფუძნება გთუნი-ს 2019-2025 წწ. მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას, გთუნი-ში მოქმედ “საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და გაუქმების წესს“ და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს. პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია საერთაშორისო გამოცდილება, საქართველოს ტურიზმის შრომის ბაზრის და პოტენციური დამსაქმებლის კვლევა; ქართულენოვანი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, არსებულ და ახალ აკადემიურ პერსონალთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული კვლევის შედეგები; გაანალიზებულია საქართველოს უსდ-ებში მოქმედი ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები, აგრეთვე სხვადასხვა მეთოდური რეკომენდაცია თუ გზამკვლევი.

ძირითადი სწავლის სფეროს
სავალდებულო კურსები

162 ECTS

ძირითადი სწავლის სფეროს
არჩევითი კურსები

30 ECTS

თავისუფალი კომპონენტის
სავალდებულო სასწავლო

20 ECTS

კურსები	
თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები	28 ECTS
სწავლება/სწავლის მეთოდები	პრაქტიკული მეცადინეობა; დამოუკიდებელი მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სამუშაო; დისკუსია / დებატები; გონებრივი იერიში; ჯგუფში მუშაობა; ქვის-მეთოდი; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია; ელექტრონული სწავლება (E-learning).
შეფასების მექანიზმი	<p>სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>ა.ა) (A) ფრიადი– შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>ა.ბ) (B) ძალიან კარგი– მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>ა.გ) (C) კარგი– მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი– მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>ა.ე) (E) საკმარისი– მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</p> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>ბ.ბ) (F) ჩაიჭრა– მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.</p>
სწავლის შედეგები	<p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <p>1. განმარტავს ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული ბიზნესისა და მენეჯმენტის პრინციპებსა და ადმინისტრირების ფორმებს, სტრატეგიული მართვის სპეციფიკურ მეთოდებს/ხერხებს, ადამიანური რესურსების საქმიანობის სპეციფიკას, ბიზნეს გარემოს მახასიათებლებს, ეკონომიკურ-ფინანსურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ, სოციალურ-კულტურულ, ისტორიულ და ეკოლოგიურ საკითხებს;</p> <p>2. აღწერს ტურიზმის, როგორც ბიზნესის სწრაფად განვითარებადი დარგის თეორიულ საფუძვლებს, ტურისტული ინდუსტრიის როლსა და მნიშვნელობას გლობალურ და ეროვნულ ასპექტებში, სტრატეგიული და ოპერაციული მენეჯმენტის, რისკების და უსაფრთხოების ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიის გამოყენებით;</p> <p>უნარი:</p> <p>3. აანალიზებს ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს, ტრანსპორტის, განთავსებისა და კვების ინდუსტრიის მომსახურების სახეების კლასიფიკაციას, ეფექტიანი ფუნქციონირების თანამედროვე მიდგომებს, გიდის ხელოვნებას და მომსახურების სპეციალურ პროგრამებსა და</p>

	<p>ტექნოლოგიებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;</p> <p>4. აფასებს მისი კომპეტენციის ფარგლებში ტუროპერატორის მართვის ძირითად ასპექტებს და ტურის ფორმირების ინსტრუმენტებს, ტურიზმის სხვადასხვა სახეებს, მათ შორის კულტურულ და ბიზნეს ტურებს;</p> <p>5. იყენებს ტურიზმის მარკეტინგის ინსტრუმენტებსა და ტექნიკებს, ტურისტული ბაზრის სტრატეგიების, ტურისტული პროდუქტების დაგეგმვის, შემუშავებისა და რეალიზაციისათვის;</p> <p>6. წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ტურიზმის სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიმუშავებს ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებებით კვლევითი, პრაქტიკული ხასიათის პროექტს და/ან ღონისძიებას;</p> <p>7. თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო არხებისა და დაჯავშნის სისტემების გამოყენებით, ამუშავებს ტურისტულ პროდუქტს, ზეპირი და/ან წერილობითი კომუნიკაციის საშუალებით, დარგობრივ უცხო ენაზე;</p> <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:</p> <p>8. ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპებით, კორპორაციული ეთიკური ნორმებისა და პასუხისმგებლობის დაცვით.</p>
დასაქმების სფერო	<p>ტურიზმი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი და სწრაფად მზარდი ინდუსტრია, მსოფლიოში ყველაზე მსხვილ დამსაქმებელს წარმოადგენს და გამოირჩევა უადრესად მრავალფეროვანი პოზიციების ფართო არჩევანით. სწავლის პროცესში შეძენილი კომპეტენციების, მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, ბაკალავრს შეუძლია დასაქმდეს ტურისტული ინდუსტრიის სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში და შეასრულოს სპეციალისტის ფუნქციები. კურსდამთავრებულს მცირე საწყისი კაპიტალით, შეეძლება საკუთარი ბიზნესის დაწყება, მათ შორის Start-up პროექტების ფარგლებში. კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლებლობები: სახელმწიფო სექტორი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი; ტურიზმის რეგიონული საინფორმაციო ცენტრები; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო; დაცული ტერიტორიები და ეროვნული პარკები; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები; სტატისტიკის ეროვნული სამსახური და სხვა. კერძო სექტორი: ტუროპერატორული კომპანიები, ტურისტული სააგენტოები; სასტუმროები (მ.შ. Ho-Re-Ca); კვების ობიექტები; რეკრეაციული ობიექტები; ტურისტული ატრაქციების მართვასა და განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაციები; ავიაკომპანიები; სახმელეთო ტრანსპორტის გამქირავებელი კომპანიები; შეხვედრებისა და ღონისძიებების ორგანიზების კომპანიები, მუზეუმები და სხვა. ტურიზმის სფეროში მოქმედი ასოციაციები: საქართველოს ტურიზმის ასოციაცია; გიდების ასოციაცია; ეკოტურიზმის ასოციაცია; მთის კურორტების ასოციაცია და სხვა. კურსდამთავრებულმა შეიძლება დაიკავოს შემდეგი პოზიციები: ადმინისტრატორი, მომსახურების გაყიდვის მენეჯერი, ტურაგენტი, მომსახურების ფორმირების სპეციალისტი, მენეჯერის ასისტენტი, ტურების გაყიდვის სპეციალისტი და სხვა.</p>

სამართლის ფაკულტეტი



პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (ქართულენოვანი)

პროგრამის სახელწოდება	სამართალი LAW
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის ბაკალავრი Bachelor of Law
პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით	240 ECTS
სწავლების ენა	ქართული
სწავლების ხანგრძლივობა	4 წელი
სწავლების გადასახადი	2250 ლარი
პროგრამის განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი
პროგრამის ხელმძღვანელი	ლიკა საჯაია, თათია დოლიძე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, გაწერილია სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.</p> <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის უფლების მოპოვება შესაძლებელია:</p> <ul style="list-style-type: none"> • სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების (ქართული ენა და ლიტერატურა; უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული, რუსული); არჩევითი-სავალდებულო საგნებიდან ერთერთის (ისტორია, მათემატიკა ან სამოქალაქო განათლება) შედეგების საფუძველზე. • ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52). • სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ პირი ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტს წარუდგინოს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვედვარებულმა პირმა-სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი. • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების ერთი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის აქტივით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

სფეროს აღწერა	<p>ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე უმაღლესი განათლების სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება არის სამართალი, რომლის დანიშნულებაც ისეთი სავალდებულო წესების სისტემის შექმნა, სადაც ადამიანი ღირებულად და დაცულად იგრძნობს თავს, ასევე პირადი ავტონომიის ფარგლებში შეძლებს თავისი უფლებების დაუბრკოლებლად რეალიზებას.</p> <p>სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება შესაძლებელია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უზენაეს ღირებულებად აღიარებით, სამართლებრივი ნორმის სათანადო განმარტებით, რა დროსაც მნიშვნელოვანია ისეთი ფუძემდებლური პრინციპების დაცვა, როგორცაა: კანონის უზენაესობა, თანაზომიერება, განსაზღვრულობა, თანმიმდევრულობა. სამართლის საბაკალავრო პროგრამა არის კერძო თუ საჯარო სფეროში, მათ შორის, საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანოებში იურისტის პროფესიაში შესვლის საშუალება.</p> <p>სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის გარდა, ასევე არის ადვოკატის, ნოტარიუსისა და პროკურორის პროფესიაში შესვლის წინაპირობა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. სამართლის პროფესიის, როგორც რეგულირებადი სფეროს, დაუფლების მსურველთა რაოდენობა ძალიან მაღალია და გთუნი-ს სამართლის საბაკალავრო პროგრამა აბიტურიენტებს სთავაზობს მრავალფეროვან თეორიულ და პრაქტიკულ სასწავლო კურსებს/კომპონენტებს, რაც მას გამოარჩევს სხვა მოქმედი საბაკალავრო პროგრამებისგან.</p>
პროგრამის მიზანი	<p>სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზნებია სტუდენტს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, სამართლის თეორიების, სამართლის არსისა და ძირითადი პრინციპების, ქართული სამართლის ისტორიისა და რომის სამართლის წყაროების შესახებ; ასევე შესძინოს სიღრმისეული ცოდნა საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის შესახებ; 2. გამოუმუშავოს კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების ანალიზის, მათი გადაწყვეტის შესაბამისი გზების შემუშავების, ასევე საკუთარი სამართლებრივი დასკვნების თაობაზე იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერიტი ფორმით კომუნიკაციის უნარი; 3. გამოუმუშავოს სამართლის ნორმების, წყაროების, მეთოდების ანალიზის, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების, სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისა და მისი დასაბუთების უნარი; 4. გამოუმუშავოს დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და ტაქტიკის, იურიდიული ხასიათის დოკუმენტების, ასევე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი; 5. გამოუმუშავოს ქართულ ან/და უცხოურ ენაზე საჭირო ინფორმაციის, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მოძიების და მიღებული ცოდნის მუდმივად განახლების უნარი; 6. გამოუმუშავოს პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების ფარგლებში მოქმედების, ასევე ადამიანის უფლებების,

	<p>სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის და შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით მოქმედების უნარები.</p>
<p>პროგრამის მოკლე აღწერა</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ECTS -ის 240 კრედიტის დაგროვებას. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას. კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის ერთი კომპონენტის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.</p> <p>ერთი სასწავლო წელი შედგება ორი, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან, მოიცავს 38 სასწავლო და სასესიო კვირას, 4 კვირას დამატებითი გამოცდებისათვის (2 კვირა თითოეულ სემესტრში) და 60 კრედიტს.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა ოთხწლიანია; სემესტრის განმავლობაში ბაკალავრმა სასურველია დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი, ხოლო წელიწადში - საშუალოდ 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.</p> <p>საბაკალავრო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არაუმეტეს 6 სემესტრი) განმავლობაში.</p> <p>პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის ხარისხს განსაზღვრავს სრული საგანმანათლებლო პროგრამის GPA. კერძოდ, თუ GPA ტოლია ან მეტი 3.55 გაიცემა წარჩინების, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვეულებრივი დიპლომი.</p>
<p>ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები</p>	<p>164 ECTS</p>
<p>ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები</p>	<p>24 ECTS</p>
<p>თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები</p>	<p>36 ECTS</p>
<p>თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები</p>	<p>16 ECTS</p>
<p>სწავლება/სწავლის მეთოდები</p>	<p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლება-სწავლის მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>სწავლების მეთოდების შერჩევასას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. სასწავლო კურსის სილაბუსებით</p>

გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება **სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები**, როგორცაა:

- ლექცია;
- პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, სასწავლო პრაქტიკა);
- ელექტრონული სწავლება (ელექტრონული რესურსით სწავლება);
- სხვა.

სწავლება-სწავლის მეთოდებისას გამოსაყენებელი აქტივობები

სწავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთში გადადის. სწავლება-სწავლის პროცესში, თითოეულ სწავლის შედეგთან მიმართებით, გამოიყენება შემდეგი აქტივობები:

ცოდნა და გაცნობიერება:

- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი;
- წიგნზე მუშაობა;
- წერიტი მუშაობა;
- ვერბალური ახსნა-განმარტება;
- დემონსტრირება;
- შემთხვევის ანალიზი (Case study);
- დამოუკიდებელი სწავლა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- გონებრივი იერიში (Brain storming);
- სხვა.

უნარი:

- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD);
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- შემთხვევის ანალიზი (Case study);
- გონებრივი იერიში (Brain storming);
- ევრისტიკული მეთოდი;
- გუნდური (collaborative) მუშაობა;
- დისკუსია/დებატები;
- ანალიზი;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია (ზეპირი, Power Point და სხვა);
- პრაქტიკული მეთოდები;
- სხვა.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება);
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- დისკუსია-დებატები, რომელთა დროსაც სტუდენტი შეძლებს წარმოაჩინოს ეთიკური ნორმების გაგებისა და არგუმენტაციის უნარ-ჩვევები;
- სხვა.

შეფასების მექანიზმი

სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3

	<p>ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>ა.ა) (A) ფრიადი– შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>ა.ბ) (B) ძალიან კარგი– მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>ა.გ) (C) კარგი– მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი– მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>ა.ე) (E) საკმარისი– მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</p> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>ბ.ბ) (F) ჩაიჭრა– მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.</p>
სწავლის შედეგები	<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <p>(A) აღწერს</p> <ol style="list-style-type: none"> სამართლის არსს, ნიშნებს, ფუნქციებს, ძირითად პრინციპებს და მათ მნიშვნელობას სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის, სამართლებრივ სისტემებს, სამართლებრივი მოწყობის მეთოდებსა და სტადიებს, განმარტების მეთოდებს, სამართლის ნორმის სტრუქტურას და სახეებს, ქართული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს, სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს, სამართლის ნორმის შეფარდების სტადიებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, რომის სამართლის წყაროებს და ინსტიტუტებს; სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებს და ეროვნული მოდელის თავისებურებებს, ადამიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს, შეზღუდვის პრინციპებსა და დაცვის ეროვნული მექანიზმის თავისებურებებს, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს, ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს და ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრინციპებს, სტადიებს, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებებს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებს და სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს, ასევე საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებს და ინსტიტუტებს, საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობების თავისებურებებს; კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის ცნებებს,

სანივთო სამართლის სისტემას და პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, შრომის სამართლის ძირითად პრინციპებს, შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, საკორპორაციო სამართლის პრინციპებსა და სამეწარმეო თავისუფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, ასევე სამოქალაქო სამართალწარმოების სტადიებს და სამოქალაქო საქმის განხილვის თავისებურებებს;

4. სისხლის სამართლის არსს და პრინციპებს, დანაშაულის არსს და სახეებს, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, სასჯელთა სისტემას, სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებს და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის თავისებურებებს.

უნარი:

(B) აანალიზებს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს და უახლესი მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის შესაბამის გზებს და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს ზეპირი და წერილობითი ფორმით;

(C) აანალიზებს და იყენებს შესაბამის მატერიალურ და საპროცესო ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების ან სხვა იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით;

(D) შეიმუშავებს საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სფეროში საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების, კერძოსამართლებრივი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სხვა სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების პროექტებს, ასევე დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით;

(E) შეიმუშავებს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

(F) მოიძიებს ქართულ ან/და უცხოურ ენებზე საჭირო ინფორმაციას, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, რითაც ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს;

(G) აანალიზებს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, მონაწილეობს შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით, მოქმედებს იურისტის ეთიკური სტანდარტებითა და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში.

დასაქმების სფერო

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშავოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური

ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;
- სასამართლო ორგანოებში;
- სამართალდამცავ და სხვა მკონტროლებელ ორგანოებში;
- კორპორაციულ სტრუქტურებში;
- საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ან სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში.

ბაკალავრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში როგორც პროკურორმა, ადვოკატმა, გამომძიებელმა, მოსამართლის თანაშემწემ (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით), სასამართლო სხდომის მდივანმა; იყოს ნოტარიუსი, ნოტარიუსის თანაშემწე (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით). მისი საქმიანობის სახეს წარმოადგენს ასევე სამართალშემოქმედებითი საქმიანობა; ორგანიზების, მმართველობით გადაწყვეტილებათა მომზადების სამართლებრივი ასპექტები; იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა. შ.) შედგენა; ადამიანის უფლებების დაცვა და განმტკიცება; კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის გაწევა.

